ეროვნული
ბიბლიოთეკა

სჯობს მონებაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

ხმა ერისა

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაზეთი

გამოდის კვირაში ერთხელ. გამოცემის პირველი წელი. №1 სამშაბათი, 1 იანვარი, 1991 წელი. ფასი 40 კაპიკი.

მხატვარი ალეკო ზვინჩიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო

წავიდა წლები დიქტატის და უსამართლობის?!
დაგვიდგება სიმშვიდის ჟამი?!
ჟამი სიკეთის ამობრწყინებისა?!

ცეცხლოვანი ფლოქვებით, ბევრი შეცდომითა და გაუტანლობით, ბევრი ტკივილითა და ბევრიც გამარჯვებით გაირბინა ცხენის წელიწადმა!

და აი, 1991 — ცხვრის წელიწადი!

ცხვარს ქართველები სიმშვიდისა და სიუხვის სიმბოლოდ ვთვლით; ქართულ ზღაპარში ხომ ცხვარმა სიღარიბე გამოაძევა სახლიდან და ყოველი კუთხე-კუნჭული ხვავით და დოვლათით აავსო. ო, როგორ აკლია ორივე დღეს საქართველოს! და როგორ სჭირდება თავისი შვილების გონიერება, გამჭრიახობა და გამრჯე მარჯვენა, რაიც კეთილი სულივით ააცხადებდა ზღაპარს.

გზა თავისუფლებისაკენ უდაბნოზე გადის. გვმართებს გამძლეობა და გადარჩენა სიმართლის, როგორც ჟურნალისტური სინდისის უცილობელი საზომის და საკაცობრიო ფასეულობისა.

ჩვენი გაზეთი „ხმა ერისა“ გვინდა მაცოცხლებელ ოაზისად იქცეს უდაბნოში, თავისუფლებისაკენ მავალი ერისათვის.

ვიზიარებთ რა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას, მხარს დავუჭერთ ყოველივეს, რაც საქართველოსათვის სასიკეთოა, შეცდომებზე თვალის დახუჭვა კი, ერის ღალატად მიგვაჩნია.

დღეს, ერის ხმა ეროვნულ პარლამენტს რჩეობს, ერთან თანადგომით ვულოცავთ ეროვნულ პარლამენტს, მათი გამარჯვება მთლად საქართველოს თავისუფლების საწინდარი ყოფილიყოს, დამოუკიდებელი პრესა კი — თავისუფალი საქართველოს წინამორბედი.

ღმერთო, მშვიდობიანი ახალი წელი მოუვლინე ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას!

ყოვლადძლიერო, მოპმადლე ჩვენს ერს გამძლეობა და ჭირთაიმენა, აარიდე განსაცდელი, მოეც ძალი ერთგულების და თანადგომისა!

დალოცვილ იყოს ყოველი კეთილი განზრახვა და საქმე საქართველოსთვის!

ციცინო ბოჭორიშვილი,
საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი
ასოციაციის პრეზიდენტი.





ჟაჟნიკი

მე მირჩევნია

თავს დამხარხარებს ავი გენია,
ჟამი — მჭირდავი და გამთიშველი,
დრო საბოდიშოდ არ დამრჩენია,
რადგან ნერვები დამრჩა შიშველი.

მე ჩემი თავი მერგო ნისიად
და ვალად მაწევს მთელი ცხოვრება,
ბოლოს ოცნებაც ფურთხის ღირსია,
მუდამ სიყვარულს მემათხოვრება.

მაწყობს ნიღაბი — ცივი უარით
და გული — ქვისგან გამონათალი,
მე მირჩევნია ვიყო მტყუანი,
როცა სუყველა არის მართალი!

სამსხვერპლოზე

თავისუფლების ნატვრა დღესაც
მიჯდება ძვირად,
ძვირად მიჯდება ლოცვის წამები.
მტერს ჩემთან ბრძოლა მაშინ უყვარს,
როდესაც მძინავს
და ძილში წარსულს ვეხმიანები.

არ ვიცი, იქნებ მას თავისი ღმერთი
ამართლებს
და უნდა ჩემი სისხლი დალიოს,
მკლავენ და ვმღერი! — რომ სიმღერით
ვძლიო ჯალათებს,
მკლავენ და — ტაშით ვხვდები
ალიონს.

ტყვიების მერე ბედისწერა ყვავილებს
მესვრის,
ღირს სიყვარულის უფსკრულს
ჩატანა...
ასე აღზევდა სიმართლე და ნათელი
ზეცის!
ასე მოიკლა თავი სატანამ!

თემურ ცერცვაძე

ასტროლოგის კუთხე

რას გვპირდება ცხვარი?

რას გვპირდება ცხვრის წელიწადი?!

ძველი აღმოსავლეთის ნატურფილოსოფოსთა გაგებით, სამყაროს არსებობა დაკავშირებულია ხუთ სტიქიონთან, ანუ ხუთ პირველ ელემენტთან: ხესთან, ცეცხლთან, მიწასთან, მეტალთან და წყალთან. ყველა მათგანი ფლობდა ორმაგ კოსმიურ ძალას: დადებით და უარყოფით ხარისხიანს. ამ ციურ საიდუმლოებათა საფუძველზე მათ შეადგინეს კოსმიურ—ზეციური ტოტებისაგან შემდგარი ათი სტიქიური ძალა, რომელშიაც ხუთი დადებითი იყო, ხუთი — უარყოფითი. თავის მხრივ, მიწიერ სამყაროსთან კანონზომიერებაში იგი ექვემდებარებოდა თორმეტ ცხოველურ ნიშანს, ეს კი კანონზომიერად ქმნიდა სამოცწლიან კოსმიურ ციკლს, რომელშიაც ოთხი მთავარი ციური ცდომილი მონაწილეობდა: მზე, მთვარე, სატურნი და იუპიტერი. ეს ოთხი პლანეტა ურთიერთ კანონზომიერებათა საფუძველზე ქმნიდნენ მექანიკური სამყაროს სამოცწლიან ბრუნვათა ციკლს თორმეტი ცხოველის ციკლთან და ხუთ სტიქიონთან დამოკიდებულებაში. ასე და ამგვარად, ყოველი ამ სტიქიონთაგანი ფლობდა ორმაგი კოსმიური განშტოების ძალას: უარყოფითსა და დადებითს. მაგალითად, თუ ცეცხლის სტიქიის დადებითი თვისებაა გამოავლინოს დედამიწაზე სითბო, იმავე ცეცხლს აქვს უარყოფითი სტიქიის გამოვლინებაც გადამეტებული ნეგატიური სიმხურვალის მზის ენერგიისაგან, რომელიც გამოიწვევს დედამიწაზე გვალვას. ეს გამოვლინებაა კოსმიურად მდედრული უარყოფითი პრინციპის ძალებისა, რომელიც თავის მხრივ კოსმიური ციკლის წელიწადთან დამოკიდებულებაში ცხოველის ნიშანთან. იძლევა ამ ოთხი პლანეტის საერთო კანონზომიერების შედეგს, რომელიც ძველ აღმოსავლეთში ცნობილია კალენდრის სახით.

1991 წელი ეს არის უარყოფითი სტიქიონის გამოვლინების შედეგი, უარყოფითი ცხოველის ცხვრის ანუ თხის წელიწადთან, რომელიც ორმაგ სირთულეს ქმნის წინასწარმეტყველობის პროგნოზირების პოზიციურ ასახვაში. ცხვრის, ანუ თხის წელიწადი აღინიშნება რომლებისთვისაც არ იქნებიან სათანადოდ მომწიფებულნი. გაქვავება, უმოძრაობა, პატივმოყვარე გრძნობები, მუშაობა მხოლოდ აუცილებლობის გამო. ამავე დროს მოსალოდნელია სენსაციური მოვლენები, როგორც ნეგატიურ ასევე პოზიტიურ მხარეში. ლიტერატურულ და საჯარო შეხედულებათა კრიზისები. ნეგატიური ძალა იძულებულს გახდის ხალხს თავის დაკრულზე აცეკვოს, მაგრამ იუპიტერი თავისი გამოვლინებით, ვინაიდან თეთრი ფერის სიმბოლური წელია, ადამიანებს მისცემს რწმენას, რომ ამ კრიტიკული მდგომარეობის გადალახვა შემდგომში გამოიღებს დადებით შედეგებს და მომავალი ნათელი იქნება.

1991 წლით დაიწყო თევზის ცივილიზაციის უარყოფითი ციკლი, რომელიც 1993 წლის ჩათვლით გრძელდება, ხოლო 1994 წელი არის მერწყულის ეპოქის ცივილიზაციის დასაწყისი, მერწყულის ეპოქა ეს არის ახალი სულიერი და ეკონომიური აღმავლობის დასაწყისი. საქართველომ 1994 წლამდე უნდა დაიხსნას თავი მონობის უღლისაგან. ადამიანებმა უნდა შეცვალონ თავიანთი ვიწრო მატერიალისტური მსოფლმხედველობები. მერწყულის ახალი ეპოქა სენსაციური სულიერი აღმავლობით დაიწყება.

მართალია, 1991 უარყოფითი წელია, მაგრამ მოსალოდნელია სიურპრიზებიც.

ჯონდო ტუხაშვილი
ასტროლოგი

წარსულიდან მომავლისაკენ...

1972 წელი. მომავალი ჟურნალისტები... ილია ჭავჭავაძის სახელობის კლუბი „ივერია“... ყოფილი პიონერთა რესპუბლიკური სასახლე. სასახლის დიდი, მიყრუებული ოთახი პატარა ფანტაზიორების ოცნებებით ნათდება.

არის ხმაური და იდეების კორიანტელი.

— ბავშვებო, ჩუმად! — ისმის ხელმძღვანელის ღიმილნარევი ხმა, — ჩვენი პოეტები ახალი ლექსების წაკითხვას აპირებენ. ხმაური ერთბაშად წყდება. ოთახში გარითმული სტრიქონები იწყებენ ფარფატს. ისმის გადაჩურჩულება, ზოგჯერ სიცილი.

— გარეკა!

— ეს მართლა კარგი იყო!

— ოო, ნამეტანია!

— ციცინო მასწ, ენგურჰესზე როდის მივდივართ?!

ისევ ხმაური. ზოგს დედა არ უშვებს, ზოგს — მამა, ზოგსაც — ორივე ერთად.

ვისაც ოჯახში საქმე მოგვარებული აქვს, ამაყად აბრიალებს თვალებს. დანარჩენები გულდაწყვეტილები მიეშურებიან სახლში და კიდევ ერთხელ ცდილობენ მშობლების დაყოლიებას, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი — არაფერი არ გამოდის!

პატარა ჟურნალისტები სულ უფრო თამამად უტევენ საქართველოს მთა-ბარს და მათი თანადგომა გულებს უცისკროვნებს სამუშაოთი გადაღლილ ადამიანებს.

საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულში გაისმის მათი შეძახილები:

— ნახე, რა მაგარია?!

— აქ გადავიღოთ!

— ლექსები, ლექსები, ლექსები—ჩქარა!

ჭერემის დაისები... ომალოს ხეობები, გადაქარული ღრუბლები, სვანეთის მრისხანე კოშკები, მოზეიმე მწვერვალები...

მზადდება ლიტერატურული გვერდები, გამოიცოცხლებაა რაიონულ გაზეთებში, ტარდება პოეზიის საღამოები.

თაობები იზრდებიან, ერთმანეთს ცვლიან, უცვლელი რჩება ბავშვური სიხალისე და შემართება.

უკვე გამოცდილი და დასერიოზულებული ჟურნალისტები სიყვარულით იგონებენ „ივერიელთა“ კლუბში გატარებულ დღეებს, და უცებ...

1987 წელს ახალგაზრდა „ივერიელთა“ კლუბის ხელმძღვანელი გათავისუფლებულია სამსახურიდან...

ბავშვები პროტესტის ნიშნად თავს ანებებენ პიონერთა სასახლეში სიარულს, მაგრამ ერთად გატარებულ დღეებს არ ივიწყებენ და ჯიუტად იბრძვიან სამართლიანობის აღსადგენად. ერთხელ დაკარგული რწმენის აღდგენა თითქმის შეუძლებელია და მაინც... ჩვენ ბაზაზე დაფუძნდა ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაცია, სადაც ყოფილი „ივერიელები“ კვლავაც აგრძელებენ იმ იდეების ერთგულებას, რისაც ბავშვობიდან სწამდათ და სჯეროდათ.

დაე, ნურასოდეს ეღალატოთ საკუთარი რწმენისა და ერთმანეთისათვის!

ყოფილი „ივერიელები“

გაზეთ „7 დღის“ მთავარი რედაქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია და დღევანდელობა

კიდევ ერთხელ ოსებზე და აფხაზებზე



საქართველო XII–XIII სს.

მე-13 საუკუნიდან საქართველოს მძიმე დღეები დაუდგა, ქვეყანა წელში გატეხა აღმოსავლეთიდან დაძრულ ნომადთა სხვადასხვა ძალებმა. მონღოლთა ასწლიანმა ბატონობამ (მე-13 ს-ის 30-იანი წლებიდან) წელში გატეხა საქართველოს სიძლიერე და ერთიანობა. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, მეფეები დავით ულუ და დავით ნარინი, დემეტრე თავდადებული, მთავარი ცოტნე დადიანი და სხვანი იბრძოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ, თავს სწირავდნენ სამშობლოს გადასარჩენად. ქართველი ხალხის ბრძოლამ გარკვეული შედეგი გამოიღო. მონღოლთა იმპერია, ისევე როგორც ყველა იმპერია, იშლებოდა. ამით კარგად ისარგებლა ქართველმა ხალხმა და მეფე გიორგი V, ბრწყინვალედ წოდებულის (1317—1348) ხელმძღვანელობით, გაინთავისუფლა თავი მონღოლთა ბატონობისაგან და აღდგენილ იქნა ქვეყნის ერთიანობაც. მაგრამ ნომადურმა ძალებმა ისევ შემოუტიეს საქართველოს, 1386—1403 წლებში თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევას ქვეყნისათვის დამანგრეველი შედეგები მოჰყვა, საქართველოში გაჩნდა ნაქალაქრები ნასოფლარები, ნაფუძარები... შინაფეოდალურმა წინააღმდეგობამ მწვავე ხასიათი მიიღო უცხო ძალის ბატონობისა და გავლენის პირობებში, მე-15 საუკუნის დასასრულს ერთიანი საქართველო დაიშალა ოთხ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. მე-16 ს. დასაწყისიდან სამხრეთ აღმოსავლეთიდან საქართველოს ძლიერი და აგრესიულად განწყობილი სეფიანთა ირანი, ხოლო სამხრეთ დასავლეთიდან ასევე ძლიერი და აგრესიულად განწყობილი თურქ-ოსმალთა სახელმწიფო გაუმეზობლდა. მე-16—18 საუკუნეების მანძილზე ეს ორი მაჰმადიანური სახელმწიფო მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის საქართველოს დამორჩილება-დანაწევრებისათვის იბრძოდა, საქართველო გამუდმებული ბრძოლის ასპარეზი იყო. ქართული სახელმწიფოები ხან ირანელების დახმარებას ცდილობდნენ თურქთა წინააღმდეგ, ხან თურქებისას ირანელთა წინააღმდეგ. საქართველო ოხრდებოდა, ქვეყანა წიოკდებოდა, მოსახლეობა კატასტროფულად კლებულობდა. მიწის სიმცირითა და მოსავლის სიმწირით შეჭირვებული მოსახლეობა საქართველოს მთიდან ბარში ჩამოდიოდა.

საქართველოს ჩრდილო საზღვარი კავკასიონის ქედი იყო. მიწა-წყალი მდ.არაგვიდან ტასისკარამდე, ძირითადად მტკვრის ჩრდილოეთით, ქმნიდა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას შიდა ქართლს. საქართველოს შუაგული შიდა ქართლი უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა ქვეყნის მოწინავე რეგიონს ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული სალიტერატურო ენის, ქართული ქრისტიანობის ცენტრს. შიდა ქართლი ერთ ადმინისტრაციულ-სამხედრო რეგიონს-საერისთავოს (სასპასპეტოს) შეადგენდა. მე-13 საუკუნიდან შიდა ქართლის სასპასპეტოს დაშლის შემდეგ აქ რამდენიმე სათავადო წარმოიქმნა (ქსნისა და არაგვის საერისთავოები, საციციანო, საამილახორო, სამაჩაბლო და სხვა).

მე-13—14 სს-ში მონღოლურმა და თურქმანული მოდგმის დამპყრობლებმა დაარბიეს ჩრდილო კავკასიის ველებზე მოსახლე ოსები, მათი დიდი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზონაში შეიხიზნა, სადაც მათ ცხოვრების მძიმე პირობები ჰქონდათ და დაიწყეს გადმოსახლება მოსახლეობა შემცირებულ კავკასიის სამხრეთ კალთებზე, შემდეგ დაიწყეს ხიზნებად შემოსვლა და ქართველ თავადთა მამულებში დასახლება, რომელთაც მუშახელშემცირებული თავადები სიამოვნებით იღებდნენ. ოსები მოდიოდნენ ოჯახებით, სოფლებითა და თემებით. თავდაპირველად ოსთა ახალშენები შიდა ქართლში მე-13 ს. 70-იან წლებში გაჩნდნენ, როდესაც მონღოლთა უღელქვეშ ოსთა სამხედრო რაზმები, როგორც დამპყრობთა მოკავშირეები მოევლინენ საქართველოს და გორსა და მის მიდამოებში დაბანაკდნენ. ეს სამხედრო დასახლებანი მტრად მოეკიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ძარცვავდნენ და არბევდნენ სოფლებს. მაგრამ მე-14 ს. 30-იან წლებში მეფე გიორგი ბრწყინვალემ აყარა და განდევნა ისინი, ქედს გადაღმა გადარეკა და კავკასიის გასასვლელები გაამაგრა. ამის შემდეგ ოსთა ინტენსიური ჩამოსახლების პროცესი მე-17 საუკუნიდან მიმდინარეობს, ისინი ჯერ მთიან ზონას იკავებენ, მე-18 ს-ის 20-30-იან წლებში მათი დასახლებები მხოლოდ მთიან ზონაში იყო, შემდეგ ისინი თანდათან სამხრეთისაკენ მოიწევენ, მე-19ს. დასაწყისში და მე-19 ს. შუა წლებში უკვე მთისწინა ზოლში, ხოლო მე-19 ს. მეორე ნახევარში ბარში დაიწყეს ჩამოსახლება.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ხელს უწყობდა საქართველოში უცხო ეთნიკური ელემენტის მომრავლებას, მის დაშლა-დანაწევრებას. 1842 წლიდან საქართველოში შექმნეს ე.წ. ოსეთის ოკრუგი, რამაც შექმნა საფუძველი შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიისათვის. ქართველები და ოსები ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, მაგრამ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ქართველი ბოლშევიკები, რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით ამხედრებდნენ ოს ბოლშევიკებს და მათ საქართველოდან გამოყოფისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციასთან შეერთებისაკენ მოუწოდებდნენ. ქართველი ბოლშევიკები, რომელნიც დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ იბრძოდნენ უცხო ეთნიკურ ელემენტებს ამხედრებდნენ და იყენებდნენ საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ. დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება თავს, საკუთარ სახელმწიფოს იცავდა და ებრძოდა ოს მეამბოხეებს. მაგრამ 1921 წ. საქართველოს ანექსიისა და აქ ბოლშევიკური ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ ხელოვნურად შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც მაშინ ჯერ კიდევ მოსახლეობის უმრავლესობას ქართველნი შეადგენდნენ. ამ ავტონომიურ წარმონაქმნს, რადგან ოსებს აქ ქალაქი არ ჰქონდათ (არც შეიძლებოდა ჰქონოდათ) მისცეს ქართული ქალაქი ცხინვალი, სადაც მაშინ სულ რამდენიმე ოსის კომლი ცხოვრობდა. მაშინ შეიქმნა ხელოვნურად საფუძველი საქართველოს ამ კუთხის განცალკევებისათვის, და ეს შემთხვევითი არ იყო. ამ ავტონომიურ წარმონაქმნში თანდათან მომრავლდა ოსური მოსახლეობა. ისტორიული შიდა ქართლი, სადაც ქართული კულტურის ძეგლებია, ქართული წარწერებია, დღეს ოსეთად იწოდება. არსებობს ავტონომიური წარმონაქმნი საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე მაშინ, როდესაც არსებობს ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა ოსთა ისტორიულ სამშობლოში.



საქართველო 1918—1921 წწ.

ჩრდილო კავკასიიდან მოსახლეობის ჩამოსახლებამ მძიმე მდგომარეობა შექმნა დასავლეთ საქართველოშიც, საკუთრივ თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიწა-წყალზე. ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ქართველური (დასავლურქართული) ტომებით (კოლხებით-ეგრებით) იყო დასახლებული და ის-ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოებში შედიოდა. ახ. წ.ა. I-II სს-ში საკუთრივ დასავლურქართული მოსახლეობის გვერდით აქ მოიხსენიებიან აბაზგები და აფსილები. ზოგი მკვლევარის აზრით, ისინი თანამედროვე აფხაზების (ჩვენ რომ აფხაზებს ვუწოდებთ, ხოლო თვითონ თავის თავს აფსუებს უწოდებენ) წინაპრები არიან. არიან თუ არა დღევანდელი აფსუები იმ აბაზგ-აფსილების მემკვიდრენი ამაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყვნენ წარმოშობით ანტიკური და შუასაუკუნეების საკუთრივ აბხაზები, ისტორიულ-კულტურულად ისინი ქართველები იყვნენ, ქართული ქრისტიანობით, ქართული სალიტერატურო ენით, ქართული სახელმწიფოთი და ქართული ეკლესიით. მე-8—10 საუკუნეებში არსებობდა დასავლურქართული სახელმწიფო, რომელსაც აფხაზთა სამეფო ეწოდებოდა. ამ დროს აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს ნიშნავდა, ხოლო აფხაზი დასავლელ ქართველს (საკუთრივ აფხაზსაც და საკუთრივ აფხაზეთსაც). აფხაზები მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს და ქართული კულტურის შექმნაში ისევე, როგორც მათი მეზობელი ეგრები, სვანები და სხვა ქართული ტომები. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ „აფხაზეთი“ რიგ შემთხვევებში მთელი საქართველოს მნიშვნელობითაც იხმარებოდა, და „აფხაზი“ ზოგადად ქართველსაც ნიშნავდა, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ, აფხაზეთი ჯერ იმერეთის სამეფოში შედიოდა, სამეგრელოს სამთავროს შექმნის შემდეგ — სამეგრელოს სამთავროში, ხოლო მე-17 საუკუნეში ჩამოყალიბდა ცალკე სამთავროდ, შერვაშიძეთა სახლით სათავეში, როგორც იმერეთის სამეფოში შემავალი სამთავრო. ამიერიდან მას „აფხაზეთის“ სამთავრო ეწოდებოდა. სწორედ ამ დროიდან იწყება ჩრდილო კავკასიიდან აფსუების ინტენსიური ჩამოსახლება. ისტორიული აფხაზეთის მიწა-წყალზე დასახლებულ აფსუებს, ჩვენ აფხაზები ვუწოდეთ, ისინი კი თავის თავს აფსუებს უწოდებდნენ. ჩამოსულებმა მოიტანეს თავისი ჩვეულები, სალაპარაკო ენა, კულტურული ტრადიციები. გაძლიერებული თურქ-ოსმალთა სახელმწიფო აქ ისლამის დანერგვას ცდილობდა, ქართველთაგან მათი გათიშვის და თავისი ბატონობის დამკვიდრების მიზნით. ასეთივე გამთიშველ პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთის საიმპერიო და საბჭოთა ხელისუფლება. სეპარატისტული პოზიციები განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, რასაც ქართველი ბოლშევიკები უწყობდნენ ხელს იმავე მიზნებით, რა მიზნებიც ამოქმედებდათ მათ ოსებით დასახლებულ საქართველოში. 1922 წ. შეიქმნა აფხაზეთის დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკა, მაგრამ აფხაზეთის საქართველოდან განცალკევებით ყოფნა შეუძლებელი იყო, ეს მაშინვე გაცხადდა და თვით აფხაზი ბოლშევიკების მიერ იქნა დაყენებული საკითხი აფხაზეთის სტატუსის შეცვლის და მისი ჯერ ხელშეკრულებით დაკავშირებისა საქართველოსთან, ხოლო 1931 წლიდან ავტონომიის უფლებით შესვლისა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. როდესაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ყალიბდებოდა აფხაზი ბოლშევიკების ლიდერებს არ აინტერესებდათ, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ არც ქართველ ბოლშევიკებს აწუხებდათ ის გარემოება, რომ ამით ისინი ხელყოფდნენ საქართველოს ერთიანობას, მის ისტორიულ საზღვრებს, რომლის დასაცავად ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა. მათ არ აინტერესებდათ და ანგარიშს არ უწევდნენ ქართველი ხალხის კანონიერ უფლებებს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე საკუთარ სახელმწიფოში ცხოვრობდა და ამიერიდან სხვა სახელმწიფოში უნდა ეცხოვრა.

აფხაზები (აფსუები) და ქართველები დასავლეთ საქართველოს, და ამდენად მთლიანად საქართველოს ერთნაირად მკვიდრი მოსახლეობაა. ერთნაირი უფლებებით ამ მიწაზე. დამპყრობელი აქ არც ქართველია და არც აფხაზი. ესაა დღევანდელობა, აფხაზებს (აფსუებს) საქართველოს გარდა სხვა სამშობლო არა აქვთ, და ამდენად მათი ავტონომიური წარმონაქმნის არსებობას, გარკვეული საფუძველიც აქვს, რადგან დღეს ისინი ქმნიან ერს, თავისი ენით, დამწერლობით, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აქვთ, კულტურით, მყარად ჩამოყალიბებული ეთნიკური თვითშეგნებით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ „აფხაზეთი“ ამ ავტონომიურ წარმონაქმნს ეწოდება, ხოლო „აფხაზი“ მასში მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელიც თავის თავს „აფსუას“ უწოდებს.

საქართველო ისტორიულ-გეოგრაფიულად, კულტურულ-პოლიტიკურად ჩამოყალიბებული მყარი ერთობაა, დაფუძნებული ენობრივ ერთიანობასა და ეთნიკურ-ეროვნულ თვითშეგნებაზე. მიუხედავად პოლიტიკური გათიშულობისა საკუთრივ ქართული თვითშეგნება არასოდეს გამქრალა ქართველურ ენებზე მოლაპარაკე სვანებსა, მეგრელ-ლაზებსა და საკუთრივ ქართებს შორის. ამ მყარი თვითშეგნების შედეგია, რომ პოლიტიკური გათიშულობის, უმძიმესი საერთაშორისო ვითარების პირობებში უძველესი დროიდანვე არსებული ერთიანობის შეგნება, როგორც წესი გაერთიანების ტენდენციებს ამკვიდრებდა. საქართველო ეს არის ქვეყანა, რომელსაც მთლიანად და მის ცალკეულ ნაწილებს უცხოელები კოლხეთსა და იბერიას, აფხაზეთსა და ჯურზანს, გეორგიას, გურჯისტანს და გრუზიას უწოდებდნენ. უძველესი დროიდან მომდინარე ერთიანობის შედეგია, რომ მიუხედავად პოლიტიკური გათიშულობისა, ქართველური ენების საფუძველზე შემუშავდა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, ეს ერთიანობა ქმნის იმის საფუძველს, რომ მე-8 — მე-10 სს. საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში, დასავლურქართულ (აფხაზურ), ქართლურ, კახურ, ჰერულ, ტაო-კლარჯულ ხუროთმოძღვრებას, მიუხედავად რეგიონალური თავისებურებებისა, საფუძველი და განვითარების ტენდენცია საერთო, ზოგადქართული აქვთ. მე-16 საუკუნიდან ოთხ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და უცხო დამპყრობთა უღელქვეშ მყოფ ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებსა და მესხეთის სამთავროში, მიუხედავად დამპყრობთა დიდი სურვილისა და მცდელობისა, ერთიანობის შეგრძნება არ გამქრალა, ყველა ესენი ცალკ-ცალკე საქართველოები, ხოლო ერთად საქართველო იყვნენ. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია მე-18 საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის მსჯელობა: „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა (იგულისხმება

საქართველო XX ს.

საკუთრივ ქართლელი, მ.ლ.) ანუ იმერსა, მესხსა და ჰერ-კახსა რა რჯული ხარ (რჯული ნიშნავს რწმენასაც და ეროვნებასაც, მ.ლ.) წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნილი, და ჰკითხო რა წინათქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყვის, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთასა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა“.

ამ მყარმა ისტორიულ-გეოგრაფიულმა და კულტურულ-ისტორიულმა, ეროვნულმა თვითშეგნებამ გაუძლო რუსეთის საიმპერიო და საბჭოთა საიმპერიო ძალების დიდ შემოტევას და დღეს არავინ არ უნდა აძლევდეს თავის თავს უფლებას ამ ერთიანობის დარღვევაზე იფიქროს და საქართველოდან მისი დასავლური ნაწილის, თუ შიდა ქართლის რაიმე ნაწილის გამოყოფის საკითხი დააყენოს.

მარიკა ლორთქიფანიძე,
პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტროფოსოფიის ყოველკვირეულმა ჟურნალმა, რომელიც დაარსებულია 1921 წელს გამოჩენილი ფსიქოლოგის რუდოლფ შტაინერის მიერ, დაბეჭდა წერილი „არჩევნები საქართველოში“, რომლის შემოკლებულ თარგმანსაც ვთავაზობთ მკითხველებს.

არჩევნები საქართველოში

ი.ბრიშიკი, მ.ბარაბოშევი

ქართველმა ხალხმა პირველად მრავალპარტიული სისტემის საფუძველზე აირჩია საქართველოს უზენაესი საბჭო. დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ საძულველი კომუნისტური პარტია ოპოზიციაში მოექცა. რატომ იპყრობს ასეთ დიდ ყურადღებას ანტროფოსოფიის ჟურნალში შესაბამისი ხელისუფლების ცვალებადობა, რაც დანარჩენ საბჭოურ რესპუბლიკებშიც ხდება? ამის საფუძველი გახლავთ ორმოცდაათი წლის ზევით გამსახურდია, ლიდერი ოთხი გაერთიანებული ოპოზიციური ჯგუფისა, რომელსაც ერთად მოკლედ „მრგვალი მაგიდა“ ეწოდა. რაც ჩვენთვის ზაფხულს აქეთ ამის ცნობილი. ჩვენ მოგვახსენეს, რომ მან „იდრიატის“ ფესტივალზე თბილისში 4000 ქართველის წინაშე ანტროფოსოფიაზე ილაპარაკა. ალიოშანა და ცნობისმოყვარეობა, რაც შეიძლება ითქვას მის პიროვნებაზე.

ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ზვიად გამსახურდიამ არჩევის შემდეგ მაშინდელი თავრობის მეთაურის გივი გუმბარიძის პოსტი მიიღო და კომუნისტურ პარტიას მხოლოდ ხელისუფლების ნაწილი შეიძლება დარჩეს. არჩევნების დღემდე მაინც არ იყო ნათელი, დემოკრატიულად ჩატარდებოდა თუ არა პირველი თავისუფალი არჩევნები. გაზაფხულზე არჩევნებისადმი ოპოზიციის ბოიკოტის შემდეგ ზაფხულში რკინიგზის ბლოკადით მიღწეულ იქნა, რომ 1990 წ. 28 ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა მრავალპარტიული სისტემით. ბლოკადის შედეგი იყო, აგრეთვე, საარჩევნო კომისიის შექმნა თავრობის კომპარტიის და ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან, რომელსაც ევალებოდა შეემოწმებინა თუ რომელი პარტია დაშვებოდა არჩევნებში. აქ გამოჩნდა თავრობის ხელისშემშლელი მანევრი: თორმეტი პარტიაა აშკარად კომპარტიის მიერ ორგანიზებული ფსევდოპარტიებიდან, რომლებიც გარეგნულად ნამდვილად ანტიბოლშევიკურ პარტიებს ეშვგავსებოდა, მაგრამ ბოლშევიკებისათვის ხმები უნდა მოეპოვებინათ. კომისიამ (და არა თავრობამ) ამ პარტიების დაშვებაზე არჩევნებში უარი თქვა. ოპოზიციამ პროტესტი შეიტანა უმაღლეს სასამართლოში (ლაპარაკია რესპუბლიკის პროკურორის პროტესტებზე. მთარგმნელი) და ბლოკირება გაუკეთა უმაღლეს სასამართლოს.

ანალოგიურ ხელის შეშლის მანევრს, როგორც თორმეტი შენიღბული პარტიის მოქმედებაა, გამოხატავდა „ეროვნული კონგრესის“ პროპაგანდაც წმინდა ქართულ ეროვნულ პარტიებს სურდათ თავისუფალ არჩევნებში უმრავლესობა მოეპოვებინათ საქართველოს უზენაეს საბჭოში, რათა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლებისაგან, როგორც კონსტიტუციური სამართლის თვალსაზრისით უფლებამოსილისაგან და კომპეტენტური ორგანოსგან საქართველოს ავტონომია გამოეთხოვათ.

რათა ამ გაურკვევლობის ხელი შეეშალათ, პროგვანდა გაუწიეს ბოლშევიკურ მხარეს „არჩევნებისა“ თავისუფლად მოქმედი „ეროვნული კონგრესის“ მხრიდან. დაიწყო ეს ერთი თვით ადრე კონსტიტუციის შესაბამის არჩევნებამდე. „ავირჩიოთ ეროვნული კონგრესი და ბოიკოტი გამოუცხადოთ უზენაესი საბჭოს არჩევნებს“, — გასმის ჭეშმარიტად ნაციონალისტური და რადიკალური ხმა, ისე როგორც ამას წმინდა ნაციონალისტები აკეთებენ, როცა ისინი საძულველ საბჭოურ სისტემაში მოჩვენებითად ლაჩრებად აჩვენებდნენ თავს, ხოლო სინამდვილეში კი უხერხემლობას ავლენდნენ. იმისათვის, რათა ვითარება კიდევ უფრო გაემწვავებათ, 20 სექტემბერს მოხდა (ინსცენირებული? ნამდვილი?) თავდასხმა კომუნისტური მარიონეტული პარტიის ბიუროზე; ამავე დროს „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზეც“. რასაც შეიძლებოდა მოჰ ყოლოდა ამბოხება და ჯარების ჩაყენება. არაფერი ამის მსგავსი არ მოხდა. არჩევნები „ეროვნული კონგრესისა“ გაყალბებული იქნა. ხალხმა, რომელიც საკმაოდ იყო ინფორმირებული, ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. მიუხედავად არჩევნების გახანგრძლივებისა კიდევ ერთი დღით, კონგრესმა ხმები მაინც ვერ მიიღო, მაგრამ ხელისუფლებისათვის ბრძოლა კიდევ გრძელდება.

შემდეგ მოთხრობილია კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ შვეიცარიიდან მოწვეული დელეგაციის მიღების ამბავი და ისევ გივი გუმბარიძის შესახებ, რომელიც კომპარტიის უკანასკნელი დასაყრდენი ყოფილა.

ამას მოსდევს მერაბ კოსტავას დახასიათება. ივი მოხსენიებულია ანტროფოსოფად და მწერლად, ზვიად გამსახურდიას ახლო მეგობრად, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ პოლი-ტიკურ ოპოზიციას საქართველოში უკანასკნელ ათწლეულებში. მერაბ კოსტავა 1989 წ. შემოდგომაზე ალბათ მოკლეს, ერთმა მილიონმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა მის დაკრძალვაში. მას შემდეგ არის ზვიად გამსახურდია გამოჩენილი (ერთპიროვნული) ფიგურა ქვეყანაში. ერთადერთი და ასევე მაღალ ავტორიტეტი არის აგრეთვე უკვე მოხსენიებული პატრიარქი საქართველოს ორთოდოქსალური ეკლესიისა ილია II, რომელსაც გამსახურდასთან აკავშირებს გულითადი დამოკიდებულება. პატრიარქს არ სურს ოფიციალურ პოლიტიკურ ოპოზიციაში მონაწილეობა, თუმცა მას სამთავრობო დაწესებულებებში იწვევენ ხოლმე.

ზვიად გამსახურდია, გამოჩენილი წინამძღოლი მრგვალი მაგიდის სახელით გაერთიანებული ოთხი ანტიბოლშევიკური დაჯგუფებისა, მკვეთრად განსხვავდება სხვა ეროვნული ძალებისაგან.

შემდეგ დახასიათებულია: 1) ჰელსინკის ჯგუფი (დაარსებულია მისი შექმნის ისტორია, 2) მერაბ კოსტავას საზოგადოება, 3) ილია მართალის საზოგადოება, 4) ქართველი ტრადიციონალისტები. საზოგადოებები მათ იმიტომ ჰქვიათ, რომ „პარტიის“ სახელწოდება საქართველოში სრულიად დისკრედიტირებულია.

ამას მოსდევს ნაწყვეტი მრგვალი მაგიდის საარჩევნო პროგრამიდან. წერილში ნათქვამია, რომ გამსახურდიამ ანტროფოსოფია თავის მამისაგან ისწავლა.

შვეიცარიის დელეგაციის წარმომადგენლებმა კოლხურ კოშკში ზვიად გამსახურდიასთან საუბრისას კედელზე რუდოლფ შტაინერის სურათი შენიშნეს. გამსახურდია ღრმად მორწმუნე ორთოდოქსი ქრისტიანია. სულიერი საფუძველი მრგვალი მაგიდის ნაშრომისა (ლაპარაკია პროგრამაზე) ქრისტიანული თეოსოფიით აღინიშნება.

დასავლეთელებისათვის იქნებოდა დიდი ხელოვნება, შეესწავლათ ტრანსკავკასიაში ადამიანები და მათი ურთიერთობები — უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური ურთიერთობები. მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში პირველი „თავისუფალი“ არჩევნები იქამდე მივიდა, რომ კომპარტიის შეფმა აზერბაიჯანისა, გაიდარ ალიევმა დეპუტატის მანდატი მიიღო და თავის სამშობლოში მოიპოვა პრეზიდენტობა. იგი იბრძვის გორბაჩოვის ხაზის წინააღმდეგ, რომელმაც ის 1987 წ. ოქტომბერში „ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ გაათავისუფლა. ქართველი ხალხი წინააღმდეგია აგრეთვე გორბაჩოვისა და მისი თანამეამესის შევარდნაძისაც კი, რომელმაც „საკუთარი ქვეყანა გაყიდა“.

საქართველოსათვის დამოუკიდებლობის მიღწევა რეალისტურ გზაზე დგება. ბევრი ადამიანი მიესალმება საქართველოში იმას, რისთვისაც იღვწის გამსახურდია — ეს ავტორიტეტული წინამძღოლი ქვეყნისა. უნდა ვისურვოთ, რომ საქართველო გამოვიდეს ცხოვრების ყველა სფეროში მზარდი ქაოსიდან, რაც საბჭოთა კავშირში ხდება. შეიძლება თუ არა საქართველო იქცეს სტაბილურობის კუნძულად საბჭოთა კავშირის ქაოსის ზღვაში?

• • •

გამგები გაიგებს...

ამ ბოლო დროს ერთი ძველი ამბავი გამახსენდა და აკვიატებულად სულ იმაზე მეფიქრება. სანამ ამ ამბავს მოგიყვებოდეთ, ორიოდ სიტყვას ჩემზეც გეტყვით: ამ ობლობაში გაზრდილი ერთი უბრალო კაცი ვარ, ხელოსანი. ნახელავს მიქებენ და დაუმადლებელ პურსა ვჭამ. მეც შეტი არა მინდა რა. ოღონდ კი სიმშვიდე იყოს, ერთმანეთის სიყვარული, ერთმანეთის გატანა.

ცამეტიოდე წლისა ვიქნებოდი, გამზრდელი ბიძა ფრონტზე რომ წავიდა, გამომშვიდობებისას დამარიგა და მითხრა: - იშვიათია, ძაღლმა ერთადერთი ლეკვი შობოს, ან ეს ლეკვი, მოუარე, გაზარდე, კარგი ჯიშისაა, ცხვარში გამოგადგებაო.

ბროლია დავარქვი. თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი, მე ვიკლებდი და იმას ვაჭმევდი. გაიზარდა, დამშვენდა, დიდი, ბომბორა ძაღლი დადგა, ღონიერი და გამბედავი. მისი შიშით, რომ იტყვიან - „ძირს ჭიანჭველას ვერ გაევლო და მაღლა ფრინველს“.

ომი მძვინვარებდა. სოფელი ქალების, მოხუცებისა და ბავშვების ამარა დარჩა. სკოლაშიც დავდიოდი და ცხვარსაც ვმწყემსავდი. ჩემი ბროლია ისე უვლიდა ფარას, თიკნის ყურიც არ დამკლებია.

მაგრამ ერთი საოცარი რამ ხდებოდა, კოლმეურნეობის ფერმის ძაღლები ბროლიას არსებობას ვერ ურიგდებოდნენ. სადაც კი წააწყდებოდნენ, დაესეოდნენ და ჩვენ რომ არ ჩავრეულიყავით, თუ კომბლებით, თუ ყვირილით, უთუოდ

დაგლეჯდნენ. ბევრჯერ სისხლიც ადინეს.

ჰოდა, იმ ამბავს გიყვებოდით. ზამთარი იყო. სოფელ გომარეთში მდინარე ხრამის ხეობაში ცხვარს ვაძოვებდით. უცებ ბროლიამ რაღაც მოუსვენრად იწყო წრიალი და მართლაც, სად იყო სად არა, ფარას მგლის ხროვა დაეცა. თითქოს ერთიორად გაიზარდა ბროლია, აიჯაგრა და მტერს თავგამოდებით შეუტია. ჩვენც რაც შეგვეძლო დავკიოდით.

მაშინ სანადირო თოფები ხალხს ჩამორთმეული ჰქონდა.

ხუთი თუ ექვსი მგელი იყო. მოიქციეს ძაღლი შუაში და საცაა გაგლეჯდნენ, მაგრამ ვერც ეგრე ადვილად შებედეს, მოწინააღმდეგის ძლიერება იგრძნეს. მერე არ ვიცი, მგლებმა ხერხი იხმარეს თუ შიში დაერიათ, თავქვე დაეშვნენ და ძაღლიც გაიყოლიეს. დროდადრო შემობრუნდებოდნენ და უტევდნენ. ბროლია თავგამეტებით ყეფდა, მაგრამ ეს ყეფა ჩვეულებრივს არ ჰგავდა. თურმე ყეფაც განსხვავდება იმის მიხედვით, როდის როგორი დრო უდგას ძაღლს. მგლები გარბოდნენ და მაინცდამაინც ფერმის სადგომებისაკენ არ აიღეს გეზი?!

გული გადამეწურა. გამოენთებიან ახლა ფერმის ძაღლები და რა გადაარჩენს-მეთქი ბროლიას.

მაგრამ მოხდა სასწაული. აკი გითხარით, ბროლიას ყეფა ჩვეულებრივს არ ჰგავდა-მეთქი. თითქოს გასაჭირს მიუხვდნენო, გამოცვივდნენ ეს კბილსისხლად გადაკიდებული ძაღლები და ძმურად, თვისტომურად, ძაღლური ერთგულებით ბროლიას დაუდგნენ გვერდით. ძალთა თანაფარდობა დამყარდა და ძაღლებმა იოლად დაიფრინეს კუდამოძუებული მგლები.

დარწმუნებული ვიყავით, ახლა ბროლიას მიუბრუნდებოდნენ ძველი მოშუღარნი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ისინი თავის გზით წავიდნენ, ბროლია კი ჩვენსკენ წამოძუნძულდა ომგადახდილი, გამარჯვებული და კმაყოფილი.

იქნებ კიდეც იკითხოთ - მერე ვითომ მაგით რაო, რისი თქმა გინდაო?

აბა რა გითხრათ, გამგები გაიგებს...

ვალერი სიხუაშვილი.

თუ გსურთ, რომ რიგში დგომით ამაოდ არ დაშვრეთ, იჩქარეთ, 15 იანვრამდე გამოიწერეთ გაზეთი

„ხმა ერისა“.

აბა ვინ არ ისურვებს ერის ხმას მიუგდოს გულისყური?! გაზეთი ხომ თქვენთვისაა და თქვენითვე იარსებებს. გაზეთის ღირებულებაა 11 თვით 17 მან. და 60 კაპ. ინდექსი: 66580

საახალწლო კეთილ სურვილებთან ერთად, მადლობა გულისხმიერ ხელისმომწერებს.

ყურადღება: კონკურსი

მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორიამ იცის არა ერთი შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტს ყოფნა-არყოფნის რისკით გაუწევია სამსახური სიმართლისათვის. ჟურნალისტური გმირობის მაგალითია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის გამოაშკარავება იური როსტის, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“ მიერ. ეს არის არა მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესების დაცვა, არამედ კაცობრიობის წინაშე გაწეული უანგარო სამსახური და გადარჩენა სიმართლისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თავისუფლების და დემოკრატიის იმ პროცესების განვითარება, რამაც უკანასკნელ ხანებში მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და სწორედ ამან და სხვა მრავალმა გარემოებამ მიგვიყვანა იმ აზრამდე, რომ ჟურნალისტურ გმირობას განსაკუთრებული დაფასება სჭირდება, რომ ჩვენს ეპოქაში შეიძლება ჟურნალისტმა არა ნაკლები სიკეთე მოუტანოს კაცობრიობას, ვიდრე მასზე დიდად დაფასებულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ.

საქართველოს აქვს უფლება, როგორც სამართლიანობისათვის მებრძოლ ერს, ათასწლეულების მანძილზე საკუთარ თავისუფლებას სხვა . ხალხთა თავისუფლებაშიც რომ ხედავდა, დააწესოს წმინდა ილია მართალის სახელობის ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემია (ილია ჭავჭავაძე — დიდი ქართველი მწერალი, მგზნებარე პუბლიცისტი, რედაქტორი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, მოკლეს 1907 წელს, ქართველი ხალხის მტრებმა, 1989 წელს ქართულმა ეკლესიამ შერაცხა წმინდანად).

წმინდა ილია მართალის სახელობის ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემია

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენტი და დარბაზი აარსებს რა წმინდა ილია მართალის სახელობის ჟურნალისტთა საერთაშორისო პრემიას,

ადგენს:

1. პრემია 10000 (3000 ამერიკული დოლარი) გაიცემა 3 წელიწადში ერთხელ, 26 მაისს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს (პირველი პრემია გაიცემა 1992 წელს).

2. წმინდა ილია მართალის სახელობის საერთაშორისო პრემია მიენიჭება სხვადასხვა ჟანრის ჟურნალისტური ნაწარმოებისათვის ნებისმიერ ჟურნალისტური ორგანიზაციის წევრს თუ ცალკეულ პიროვნებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ენაზე და მსოფლიოს რომელ ქვეყანაშია გამოქვეყნებული ნაშრომი.

3. პრემია შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე ცალკეულ ორგანიზაციას (გაზეთის, ჟურნალის, ტელე-რადიორედაქციებს, გამომცემლობებს).

4. პრემიის მინიჭების აუცილებელი პირობაა, მაღალ ჟურნალისტურ პროფესიონალობასთან ერთად, ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების უტყუარი ასახვისას გამოჩენილი მოქალაქეობრივი სიმამაცე და პრინციპულობა.

5. პრემირებული მასალა უნდა ემსახურებოდეს სიმართლეს, როგორც ჟურნალისტური სინდისის უცილობელ საზომს და წარმოაჩენდეს ამა თუ იმ ქვეყნის, ამა თუ იმ პიროვნების შესახებ სინამდვილეს, როგორც საერთაშორისო-საკაცობრიო ფასეულობას.

6. პრემიის მინიჭების საკითხის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჟურნალისტური ნაშრომის ეროვნულ და საერთაშორისო მნიშვნელობას.

7. წმინდა ილია მართალის პრემიის მფლობელი დაჯილდოვდება ლაურეატის სამკერდე ნიშნით და არჩეული იქნება საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის საპატიო წევრად.

8. პრემირებული ნაწარმოები გამოქვეყნდება ასოციაციის ორგანოში (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

9. პრემიაზე კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ როგორც ორგანიზაციებს, ისე ჟურნალისტებს მომავალი წლის თებერვლის ბოლომდე.

10. შემოსული მასალები შეიძლება იყოს ნებისმიერ ენაზე, რომელსაც უნდა ახლდეს ქართული და ინგლისური თარგმანი.

11. პრემიის მინიჭების საკითხს განიხილავს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენტის და დარბაზის მიერ დამტკიცებული საპრემიო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ასოციაციის წევრებთან ერთად იქნებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილი ჟურნალისტები.

12. პრემიის დებულება და საპრემიო კომიტეტის შემადგენლობა გამოქვეყნდება ასოციაციის „ხმა ერისა“ უახლოეს ნომერში (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

ხმა ერისა

ინდექსი 66580

ჩვენი მისამართი:
.380003 თბილისი, რიყე №2. გაზეთ „ხმა ერისა“ რედაქცია.
ტელეფონი: 74-10-73

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით კსს გამოთვლით ცენტრში. ტელ: 35-26-44

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით ქ. რუსთავის სწარმოო-პოლიგრაფიულ გაერთიანებაში.

სარედაქციო კოლეგია